

დამტკიცებულია  
საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯი  
„ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“  
დირექტორის 2020 წლის 13 მაისის №101 ბრძანებით

**სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**

**უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები**

## სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო.....	3
თავი II. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი და სარგებლობის წესები .....	3
მუხლი 4. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი .....	3
მუხლი 5. პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები .....	3
თავი III. უსაფრთხოების აღჭურვილობა და წესები .....	4
მუხლი 6. უსაფრთხოების აღჭურვილობა .....	4
მუხლი 7. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები .....	4
თავი IV. გარდამავალი დებულებები .....	5
მუხლი 8 - გარდამავალი დებულებები.....	5

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა (დასაქმებულების შემთხვევაში) და პირველადი გადაუდებელი დახმარების წესები და სარგებლობის/გამოყენების მექანიზმები.
2. წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის უსაფრთხოებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს და შეასრულოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული მითითებები.

## თავი II. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი და სარგებლობის წესები

### მუხლი 4. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი

1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას.
2. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი (შემდგომში კაბინეტი) განთავსებულია კოლეჯში შენობის სასწავლო პერიმეტრზე.
3. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარით, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებითა და მედიკამენტებით.
4. კაბინეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირ/ებ/ი.
5. პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, ან პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი ტრენინგი.
6. კოლეჯში დასაქმებულები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან კაბინეტის მდებარეობისა და ფუნქციონირების შესახებ საინფორმაციო შეხვედრაზე, კოლეჯის შენობაში ყველა სართულზე გამოკრულია კაბინეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პასუხისმგებელი პირ/ებ/ის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას.
7. კოლეჯი ეტაპობრივად უზრუნველყოფს დასაქმებული პირების გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსების გავლის ხელშეწყობის გზით.

### მუხლი 5. პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები

1. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:
  - 1.1 კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით;
  - 1.2 კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს შესაძენად აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების ნუსხა;
  - 1.3 განახორციელოს მონიტორინგი კაბინეტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე და უწყსრიგობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;
  - 1.4 კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
  - 2.1 კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
  - 2.2 გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;
  - 2.3 პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;
  - 2.4 აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;
  - 2.5 აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის ელექტრონულად შეტანის გზით;
3. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

### თავი III. უსაფრთხოების აღჭურვილობა და წესები

#### მუხლი 6. უსაფრთხოების აღჭურვილობა

1. კოლეჯი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რომელიც განკუთვნილია უსაფრთხოებისთვის:
  - 1.1 დამონტაჟებულია სახანძრო სისტემა;
  - 1.2 დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორი;
  - 1.3 მოწყობილია სახანძრო კარადები, რომელშიც განთავსებულია ხანძრის დროს წყლით ქრობისათვის განკუთვნილი რეზინის 25 მეტრიანი მილი;
  - 1.4 დამონტაჟებულია საგანგაშო დილაკები და ხმოვანი სირენები;
  - 1.5 დამონტაჟებულია გასასვლელი მაჩვენებლები (Exit); 1.6 განთავსებულია ფხვნილოვანი ცეცხლმაქრები;
  - 1.7 დამონტაჟებულია ავარიული განათება.
2. შენობას გააჩნია საკუთარი სახანძრო სატუმბი სადგური 20 ტონიანი წყლის ავზებით.
3. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის დროს შენობიდან გასვლის მოქმედების წესი.
4. კოლეჯის აღჭურვილობაშია განგაშის ხმის გამაძლიერებელი (რუპორი) და 3 ელექტრო ფანარი.

#### მუხლი 7. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები

1. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:
  - 1.1 კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გაატაროს საჭირო ღონისძიებები შესაბამისი (მთავრობის დადგენილება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ") დადგენილების ფარგლებში;
  - 1.2 მემხვედრ საჭიროებებზე საპასუხოდ იმოქმედოს დაუყოვნებლივ, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმების გარეშე;
  - 1.3 ისარგებლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი რეგულაციებით;
  - 1.4 ჩაატაროს სწავლება სახანძრო განგაშის სიმულირების გზით;
  - 1.5 მოსთხოვოს კოლეჯში დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მისი მართლზომიერი მითითებების შესრულება.

2. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
  - 2.1 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია შენობაში საფრთხის რისკები დაიყვანოს მინიმუმამდე;
  - 2.2 დაიცვას თითოეული თანამშრომელის უფლებები დამსაქმებელთან;
  - 2.3 კოლეჯში დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისთვის ჩაატაროს სწავლება/შეხვედრები/ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
  - 2.4 აწარმოოს ჟურნალი, სადაც აღირიცხება შეხვედრები/ტრენინგების მონაწილეთა შესაბამისი ხელისმოწერით.
  - 2.5 იქონიოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით:
    - 2.5.1 კოლეჯში არსებული რესურსით საჭირო დონისძიებების გატარება;
    - 2.5.2 დამატებითი რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში დასაბუთებული მოთხოვნით მიმართვა დირექტორთან და პროცესის მართვა;
    - 2.5.3 თანამშრომლების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებისამებრ ინფორმირება.

#### თავი IV. გარდამავალი დებულებები

##### მუხლი 8 - გარდამავალი დებულებები

1. სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

დირექტორი

მამია ჯანჯალია